დადგენილება:**დ-47.47221476**
თარიღი:**27/05/2022**

დადგენილება N15

ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის სამოქალაქო ბიუჯეტის საბჭოს შექმნისა და საქმიანობის წესის დამტკიცების თაობაზე ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 30 ივნისის №8 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 61-ე მუხლის პირველი და მეორე პუნქტებისა და „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის საფუძველზე

ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

მუხლი 1.

,,ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის სამოქალაქო ბიუჯეტის საბჭოს შექმნისა და საქმიანობის წესის დამტკიცების თაობაზე ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 30 ივნისის №8 დადგენილებაში (www.matsne.gov.ge; 01/07/2021, სახელმწიფო სარეგისტრაციო კოდი: 010250050.35.114.016454). შეტანილ იქნეს შემდეგი სახის ცვლილება:

1. დადგენილების დანართის პირველი მუხლის მე-3 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

3. საბჭო შედგება არაუმეტეს 17 წევრისაგან.

2.დადგენილების დანართის მე-3 მუხლის პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

1. საბჭო შედგება საბჭოს წევრთაგან, მათ შორისაა საბჭოს თავმჯდომარე, მოადგილე და მდივანი. საბჭოს შემადგენლობა განისაზღვრება ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულებით.

3. დადგენილების დანართის მე-3 მუხლის მე-2 პუნქტის გ) ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

გ) ხელი მოაწეროს საბჭოს სხდომის ოქმებს/გადაწყვეტილებებს;

მუხლი 2.

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

ირაკლი კუჭავა

ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულო-
საკრებულოს თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი